შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

**EKVTIME TAKAISHVILI TEACHING UNIVERSITY LLC**

3700, რუსთავი,
ბოსტანქალაქის ქ. №3
ტელ. (0341) 24-18-98
ელ-ფოსტა
rvaliuni@gmail.com

3700, rustavi,
Bostankalaki str. №3,
Tel. (0341) 24-18-98
e-mail:
rvaliuni@gmail.com

EUROPEAN QUALITY

# შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №26

2017 წლის 5 აგვისტო
ქალაქი რუსთავი

**შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრისა და გამოცდების ჩატარების შესახებ**

„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანების და შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 4 სექტემბრიდან 2017 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით.
2. გამოცდა სპეციალობებში ჩატარდეს 2017 წლის 15 სექტემბერს 10:00 საათზე, ხოლო უცხო ენაში 2017 წლის 16 სექტემბერს 16:00 საათზე.
3. მაგისტრანტობის კანდიდატებმა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;
ბ) ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომი (დედანი);
გ) მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის);
დ) პირადობის მოწმობა (ასლი, 2 ცალი);
ე) ფოტო–სურათი 3x4 (4 ცალი + CD-ზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია).

4. მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი მის მიერ ჩაბარებული გამოცდების თაობაზე სასწავლო უნივერსიტეტში, სასწავლო უნივერსიტეტში რექტორის სახელზე არაუგვიანეს 2017 წლის 19 სექტემბრისა.
ამ ბრძანებით განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების შედეგების ოფიციალურ ვებგვერდზე

5. გამოცდების ჩატარება დაევალოს შემდეგ კომისიას:
5.1. საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე:
ა) სასწავლო კურსში: საბანკო საქმე
ა.ა) ციური დურული-ეკონომიკის დოქტორი-პროფესორი-კომისიის თავმჯდომარე;
ა.ბ) ვაჟა კაკაბაძე-ეკონომიკის დოქტორი-ასოცირებული პროფესორი-კომისიის წევრი;
ა.გ) ნანა ზაზაძე-ეკონომიმიკის დოქტორი-პროფესორი-კომისიის წევრი.
5.2. ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
ბ)სასწავლო კურსი: ინგლისური ენა და ლიტერატურა
ბ.ა)მაია მარღანია- ფილოლოგიის დოქტორი-პროფესორი-კომისიის თავმჯდომარე;
ბ.ბ) მანანა შელია-განათლების დოქტორი-პროფესორი-კომისიის წევრი;
ბ.გ) ბიძინა ლემონჯავა-ფილოლოგიის დოქტორი-ასოცირებული პროფესორი-კომისიის წევრი.

6. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**სასწავლო უნივერსიტეტის**
**რექტორი :** **გულქან ქმოსტელი**